შპს ჭავჭავაძის 64ბ

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2025 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 9

სრული შემოსავლის ანგარიშგება 10

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 11

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 12

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13

1. კომპანია და მისი საქმიანობა 13
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 13
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა 23
4. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში 24
5. საინვესტიციო ქონება 27
6. ძირითადი საშუალებები 28
7. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები 29
8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 29
9. საიჯარო და სხვა მოთხოვნები 29
10. გაცემული მოკლევადიანი სესხები 29
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 30
12. ნასესხები საშუალებები 30
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31
14. ანარიცხი 31
15. სხვა შემოსავალი (ნეტო) 32
16. საპროცენტო შემოსავალი 32
17. საპროცენტო ხარჯები 32
18. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 32
19. ფინანსური რისკების მართვა 32
20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 36
21. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები 36
22. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 36
23. პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენებია 38

მმართველობითი ანგარიში 40

BC Menteshev Rows
7 Bambis Rigi Street
Tbilisi 0105, Georgia

T: +955 322 438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჭავჭავაძის 64ბ“-ს დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს „ჭავჭავაძის 64ბ“-ს (შემდგომში, „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღებით დასრულებული წლებისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე, ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღებით დასრულებული წლებისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2.2 შენიშვნაზერომელიც გვიჩვენებს, რომ:

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 19.5 მოცემულია კომპანიის ლიკვიდურობის რისკის ამსახველი ინფორმაცია. ახსნა განმარტებითი შენიშვნა ასახავს 2025 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებების კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი ფულადი საშუალებების გადახდის ვალდებულებებს მათი ვადების შესაბამისად. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. როგორც ცხრილიდან ჩანს კომპანიას 2026 წლის განმავლობაში უწევს ობლიგაციებისა და სესხების ვალდებულებების დაფარვა 42,214 ათასი ლარის ოდენობით. კომპანიის არსებული ფულადი საშუალებებისა და მომავალი ოპერირების შედეგად მიღებული ფულადი საშუალებები არ არის საკმარისი ამ ვალდებულების დასაფარად. კომპანიის ხელმძვანელობა, მისი დამფუძნებელი და მისი მაკონტროლებელი პირები გეგმავენ შემდეგი ქმედებების განხორციელებას ამ ლიკვიდურობის პრობლემის დაძლევის მიზნით:

ADVISORY • ASSURANCE • TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

- კომპანია 2026 წლის აგვისტომდე გეგმავს 28 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ახალი ობლიგაციების გამოშვებასა და განთავსებას. როგორც ემისიის შესაბამის პროსპექტში იქნება გაწერილი, მოზიდული სახსრების ერთ-ერთი მიზანი არსებული ობლიგაციებით აღებული ვალდებულებების რეფინანსირება იქნება. აღნიშნული პროცესის უზრუნველსაყოფად, უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების განთავსების აგენტთან;

- იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ემისია ვერ განხორციელდა, ან მოზიდული სახსრები არასაკმარისი აღმოჩნდა, კომპანიის მაკონტროლებელი პირები, დედაკომპანიის მეშვეობით, უზრუნველყოფენ კომპანიის კაპიტალის ზრდას მინიმუმ 8.5 მილიონი აშშ დოლარით, არსებული ობლიგაციებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვის ვადამდე. აღნიშნული თანხა საკმარისი იქნება კომპანიის ლიკვიდურობის პრობლემების დასაძლევად მომავალი 12 თვის განმავლობაში.

კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კომპანიის მენეჯმენტი და მაკონტროლებელი პირები თვლიან რომ ზემოთ განმარტებულ გეგმას წარმატებით შეასრულებენ და დაძლევენ კომპანიის წინაშე მდგარ უწყვეტი ფუნქციონირების პრობლემების მოგვარებას. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის რომ, „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში

როგორც მე-2.2 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას. ამასთან, დავადგინეთ, რომ ქვემოთ განხილული საკითხი აუდიტის ძირითადი საკითხია, რომლის შესახებაც ინფორმირება აუცილებელია ჩვენს დასკვნაში.

აუდიტის ძირითადი საკითხი	**აუდიტის ძირითად საკითხთან მიმართებით ჩატარებული აუდიტორული პროცედურები**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონება ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში აღწერილის შესაბამისად, კომპანიამ გარე დამოუკიდებელი ქონების **საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება** - შემფასებლის დახმარებით, განსაზღვრა მის საინვესტიციო ქონებაში აღრიცხული მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულება ფასს 13 - სამართლიანი ღირებულების შეფასება შესაბამისად, 2025 წლის 31 დეკემბრისთვის. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ამ ქონების შეფასების ფასს 13 მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება აუდიტის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან მას აქვს არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს არსებითი მსჯელობისა და შეფასებების გამოყენებას.	**ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები მოიცავდა შემდეგს:** აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად, ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი პროცედურები: • ჩვენ შევაფასეთ გარე შემფასებლის დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და კომპეტენტურობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირების სტატუსი; • ჩვენი შეფასების სპეციალისტის დახმარებით, შევაფასეთ გამოყენებული მეთოდოლოგია და ძირითადი დაშვებები, და მათი შესაბამისობა ფასს - 13 სამართლიანი ღირებულების შეფასება მოთხოვნებთან;

ADVISORY • ASSURANCE • TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

აუდიტის ძირითადი საკითხი	აუდიტის ძირითად საკითხთან მიმართებით ჩატარებული აუდიტორული პროცედურები
	• ჩვენ მოვახდინეთ შეფასების პროცესში შემფასებლის მიერ გამოყენებული მონაცემების ვერიფიკაცია, ვალიდაცია და შევაფასეთ შეფასების მიზნებისათვის მათი გამოყენების ადეკვატურობა; • ჩვენ შევამოწმეთ ფინანსური ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული ახსნა - განმარტებითი შენიშვნების შესაბამისობის სტატუსი ფასს-ების მოთხოვნებთან.
სესხებით ნაკისრი ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებების შესრულების სტატუსი. კომპანიას აღებული აქვს სესხები საბანკო სესხის ხელშეკრულებებითა და საჯაროდ განთავსებული ობლიგაციების განთავსების პირობების საფუძველზე. ამ დოკუმენტების საფუძველზე, კომპანიას ნაკისრი აქვს გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები, მათ შორის გარკვეული ფინანსური კოეფიციენტების დაკმაყოფილების ვალდებულება. ამ ვალდებულებებისა და კომპანიის მხრიდან მათი დაკმაყოფილების სტატუსის დეტალები ახსნილია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნა 12-ში. კომპანიის მხრიდან ამ ვალდებულებათა შესრულების სტატუსი, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანია, აქედან გამომდინარე, ჩვენ ჩავთვალეთ რომ ამ გარემოებათა სრულფასოვნად ფასს-ების შესაბამისად წარდგენის სტატუსის შემოწმება აუდიტის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა.	**აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად, ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი პროცედურები:** • ჩვენ გავაანალიზეთ საბანკო სესხის ხელშეკრულებები და საჯაროდ განთავსებული ობლიგაციების განთავსების პირობები. • გადავამოწმეთ ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული ამ დოკუმენტების მიხედვით ნაკისრი ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებების შესრულების სტატუსი. • ალტერნატიული გაანგარიშებებით გადავამოწმეთ ამ სტატუსთან დაკავშირებული გაანგარიშებები. • გავაანალიზეთ ბანკებიდან მიღებული შესაბამისი ვალდებულებების შესრულების გადავადების წერილები.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2026 წლის 2 აპრილით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 38 გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და, გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ -„დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ

ADVISORY • ASSURANCE • TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული

ADVISORY • ASSURANCE • TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

ADVISORY • ASSURANCE • TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) კომპანიის ხელმძვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2026 წლის 2 აპრილით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 38 გვერდის შემდეგ. კანონის მოთხოვნების შესაბამისად ჩვენ პასუხისმგებლობაა გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია. აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის (გ) ქვეპუნქტის მოთხოვნებს, მე-8 მუხლის მოთხოვნებს, მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის ზ ქვეპუნქტი კომპანიას არ ეხება.
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის (ა), (ბ), (დ) – (ვ) ქვეპუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
2 აპრილი, 2026 წელი

თბილისი, საქართველო

ADVISORY • ASSURANCE • TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) კომპანიის ხელმძვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2026 წლის 2 აპრილით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 38 გვერდის შემდეგ. კანონის მოთხოვნების შესაბამისად ჩვენ პასუხისმგებლობაა გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია. აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის (გ) ქვეპუნქტის მოთხოვნებს, მე-8 მუხლის მოთხოვნებს, მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის ზ ქვეპუნქტი კომპანიას არ ეხება.
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის (ა), (ბ), (დ) – (ვ) ქვეპუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
2 აპრილი, 2026 წელი

თბილისი, საქართველო

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2025	31.12.2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	5	91,364	91,502
ძირითადი საშუალებები	6	155	166
აქტივის გამოყენების უფლება	7	256	308
სულ გრძელვადიანი აქტივები		**91,775**	**91,976**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	8	107	113
საიჯარო და სხვა მოთხოვნები	9	491	724
გაცემული მოკლევადიანი სესხები	10	1,987	463
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	8,343	3,139
სულ მოკლევადიანი აქტივები		**10,928**	**4,439**
სულ აქტივები		**102,703**	**96,415**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	2.16	38,654	38,654
დაუფარავი ზარალი		(3,983)	(8,715)
სულ საკუთარი კაპიტალი		**34,671**	**29,939**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	12	24,968	59,906
საიჯარო ვალდებულებები	7	273	302
მოიჯარეებიდან მიღებული ავანსები		1,467	1,331
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**26,708**	**61,539**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,686	3,624
სესხები	12	37,584	1,076
საიჯარო ვალდებულებები	7	54	46
ანარიცხები	14	-	191
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**41,324**	**4,937**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**102,703**	**96,415**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 2 აპრილს.

ანა მიქელაძე,
დირექტორი

მარი ახვლედიანი,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
დამოუკიდებელი წევრი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2025	31.12.2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	**5**	91,364	91,502
ძირითადი საშუალებები	**6**	155	166
აქტივის გამოყენების უფლება	**7**	256	308
სულ გრძელვადიანი აქტივები		**91,775**	**91,976**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	**8**	107	113
საიჯარო და სხვა მოთხოვნები	**9**	491	724
გაცემული მოკლევადიანი სესხები	**10**	1,987	463
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**11**	8,343	3,139
სულ მოკლევადიანი აქტივები		**10,928**	**4,439**
სულ აქტივები		**102,703**	**96,415**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	**2.16**	38,654	38,654
დაუფარავი ზარალი		(3,983)	(8,715)
სულ საკუთარი კაპიტალი		**34,671**	**29,939**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	**12**	24,968	59,906
საიჯარო ვალდებულებები	**7**	273	302
მოიჯარეებიდან მიღებული ავანსები		1,467	1,331
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**26,708**	**61,539**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**13**	3,686	3,624
სესხები	**12**	37,584	1,076
საიჯარო ვალდებულებები	**7**	54	46
ანარიცხები	**14**	-	191
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**41,324**	**4,937**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**102,703**	**96,415**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 2 აპრილს.

_____

ანა მიქელაძე,
დირექტორი

_____

მარი ახვლედიანი,

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
დამოუკიდებელი წევრი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2025 დასრულებული წლისთვის	31.12.2024 დასრულებული წლისთვის
შემოსავლები			
საიჯარო შემოსავალი		12,184	9,792
სხვა შემოსავალი (ნეტო)	15	1,210	91
ხარჯები			
საგადასახადო ხარჯი		(612)	(600)
ხელფასის ხარჯი		(489)	(470)
რემონტისა და შენახვის ხარჯი		(183)	(102)
ცვეთა და ამორტიზაცია		(121)	(147)
კომუნალური ხარჯი		(59)	(119)
დაზღვევის ხარჯი		(38)	(48)
სხვა ხარჯები		(172)	(166)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება		(814)	3,708
წმინდა (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		(1,519)	(558)
სხვა მოგება (ნეტო)		183	138
საპროცენტო შემოსავლები	16	359	326
საპროცენტო ხარჯები	17	(5,197)	(5,851)
მიმდინარე წლის მოგება		**4,732**	**5,994**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		**4,732**	**5,994**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 2 აპრილს.

ანა მიქელაძე,
დირექტორი

მარი ახვლედიანი,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
დამოუკიდებელი წევრი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2025 დასრულებული წლისთვის	31.12.2024 დასრულებული წლისთვის
შემოსავლები			
საიჯარო შემოსავალი		12,184	9,792
სხვა შემოსავალი (ნეტო)	**15**	1,210	91
ხარჯები			
საგადასახადო ხარჯი		(612)	(600)
ხელფასის ხარჯი		(489)	(470)
რემონტისა და შენახვის ხარჯი		(183)	(102)
ცვეთა და ამორტიზაცია		(121)	(147)
კომუნალური ხარჯი		(59)	(119)
დაზღვევის ხარჯი		(38)	(48)
სხვა ხარჯები		(172)	(166)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება		(814)	3,708
წმინდა (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		(1,519)	(558)
სხვა მოგება (ნეტო)		183	138
საპროცენტო შემოსავლები	**16**	359	326
საპროცენტო ხარჯები	**17**	(5,197)	(5,851)
მიმდინარე წლის მოგება		**4,732**	**5,994**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		**4,732**	**5,994**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 2 აპრილს.

_____

ანა მიქელაძე,
დირექტორი

_____

მარი ახვლედიანი,

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
დამოუკიდებელი წევრი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2025 დასრულებული წლისთვის	31.12.2024 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მეიჯარეებისგან მიღებული ფულადი სახსრები	14,646	11,721
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები	(2,569)	(6,095)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები ნეტო	**12,077**	**5,626**
გადახდილი პროცენტი **(შენიშვნა 7 და 12)**	(5,006)	(8,944)
მიღებული პროცენტი **(შენიშვნა 10)**	379	384
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**7,450**	**(2,934)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული სესხები **(შენიშვნა 10)**	(20,669)	(5,123)
დაბრუნებული სესხები **(შენიშვნა 10)**	19,095	8,270
საინვესტიციო ქონების გაუმჯობესება **(შენიშვნა 5)**	(586)	(1,588)
ძირითადი საშუალებების შეძენა **(შენიშვნა 6)**	(62)	(8)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია **(შენიშვნა 6)**	2	363
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(2,220)**	**1,914**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხებიდან და ობლიგაციებიდან მიღებული ფული **(შენიშვნა 12)**	-	59,548
სესხების დაფარვა **(შენიშვნა 12)**	-	(63,029)
კაპიტალის ზრდა/(შემცირება) (ნეტო)	-	7,681
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი ფული **(შენიშვნა 7)**	(49)	(49)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(49)**	**4,151**
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	**5,181**	**3,131**
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში **(შენიშვნა 11)**	3,139	16
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებზე	23	(8)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**8,343**	**3,139**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 2 აპრილს.

ანა მიქელაძე,
დირექტორი

მარი ახვლედიანი,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
დამოუკიდებელი წევრი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2025 დასრულებული წლისთვის	31.12.2024 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მეიჯარეებისგან მიღებული ფულადი სახსრები	14,646	11,721
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები	(2,569)	(6,095)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები ნეტო	**12,077**	**5,626**
გადახდილი პროცენტი **(შენიშვნა 7 და 12)**	(5,006)	(8,944)
მიღებული პროცენტი **(შენიშვნა 10)**	379	384
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**7,450**	**(2,934)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული სესხები **(შენიშვნა 10)**	(20,669)	(5,123)
დაბრუნებული სესხები **(შენიშვნა 10)**	19,095	8,270
საინვესტიციო ქონების გაუმჯობესება **(შენიშვნა 5)**	(586)	(1,588)
ძირითადი საშუალებების შეძენა **(შენიშვნა 6)**	(62)	(8)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია **(შენიშვნა 6)**	2	363
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(2,220)**	**1,914**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხებიდან და ობლიგაციებიდან მიღებული ფული **(შენიშვნა 12)**	-	59,548
სესხების დაფარვა **(შენიშვნა 12)**	-	(63,029)
კაპიტალის ზრდა/(შემცირება) (ნეტო)	-	7,681
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი ფული **(შენიშვნა 7)**	(49)	(49)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(49)**	**4,151**
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	**5,181**	**3,131**
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში **(შენიშვნა 11)**	3,139	16
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებზე	23	(8)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**8,343**	**3,139**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 2 აპრილს.

_____

ანა მიქელაძე,
დირექტორი

_____

მარი ახვლედიანი,

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
დამოუკიდებელი წევრი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი (იხილეთ ახსნა - განმარტებითი შენიშვნა 2.16)	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**30,973**	**(14,709)**	**16,264**
წლის სრული შემოსავალი	-	5,994	5,994
კონტრიბუცია საწესდებო კაპიტალში	8,621	-	8,621
კაპიტალის შემცირება	(940)	-	(940)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**38,654**	**(8,715)**	**29,939**
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**38,654**	**(8,715)**	**29,939**
წლის სრული შემოსავალი	-	4,732	4,732
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**38,654**	**(3,983)**	**34,671**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 2 აპრილს.

ანა მიქელაძე,
დირექტორი

მარი ახვლედიანი,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
დამოუკიდებელი წევრი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი (იხილეთ ახსნა - განმარტებითი შენიშვნა 2.16)	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**30,973**	**(14,709)**	**16,264**
წლის სრული შემოსავალი	-	5,994	5,994
კონტრიბუცია საწესდებო კაპიტალში	8,621	-	8,621
კაპიტალის შემცირება	(940)	-	(940)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**38,654**	**(8,715)**	**29,939**
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**38,654**	**(8,715)**	**29,939**
წლის სრული შემოსავალი	-	4,732	4,732
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**38,654**	**(3,983)**	**34,671**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 2 აპრილს.

_____

ანა მიქელაძე,
დირექტორი

_____

მარი ახვლედიანი,

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
დამოუკიდებელი წევრი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს “ჭავჭავაძის 64ბ” (შემდგომში ტექსტში კომპანია) დაფუძნდა 2011 წლის 14 მარტს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 404890891. 2025 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის დედა კომპანიას 100 პროცენტიანი მონაწილეობით წარმოადგენს შპს ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე (ს/კ 204853088) და მაკონტროლებელი პირები არიან ფიზიკური პირები: ბატონი ლაშა პაპაშვილი პ/ნ 01008006654 და ბატონი სულხან პაპაშვილი პ/ნ 01018001248. პარტნიორთა საერთო კრების 2024 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით (საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 20 მაისი) კომპანიაში შეიქმნა ხუთი წევრისაგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარედ დაინიშნა მარინა ახვლედიანი (პ/ნ 01005010166).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საოფისე ფართების გაქირავება.

კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71.

2025 წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 16. (2024: 18).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვისტიციო ქონებისა რომელის აღრიცხვა სამართლიანი ღირებულებით ხდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლარი“) თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე გარდა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონებისა. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 19.5 მოცემულია კომპანიის ლიკვიდურობის რისკის ამსახველი ინფორმაცია. ახსნა განმარტებითი შენიშვნა ასახავს 2025 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებების კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი ფულადი საშუალებების გადახდის ვალდებულებებს მათი ვადების შესაბამისად. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. როგორც ცხრილიდან ჩანს კომპანიას 2026 წლის განმავლობაში უწევს ობლიგაციებისა და სესხების ვალდებულებების დაფარვა 42,214 ათასი ლარის ოდენობით. კომპანიის არსებული ფულადი საშუალებებისა და მომავალი ოპერირების შედეგად მიღებული ფულადი საშუალებები არ არის საკმარისი ამ ვალდებულების დასაფარად. კომპანიის ხელმძვანელობა და მისი მაკონტროლებელი პირები გეგმავენ შემდეგი ქმედებების განხორციელებას ამ ლიკვიდურობის პრობლემის დაძლევის მიზნით:

- კომპანია 2026 წლის აგვისტომდე გეგმავს 28 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ახალი ობლიგაციების გამოშვებასა და განთავსებას. როგორც ემისიის შესაბამის პროსპექტში იქნება გაწერილი, მოზიდული სახსრების ერთ-ერთი მიზანი არსებული ობლიგაციებით აღებული ვალდებულებების რეფინანსირება იქნება. აღნიშნული პროცესის უზრუნველსაყოფად, უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების განთავსების აგენტთან;

- იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ემისია ვერ განხორციელდა, ან მოზიდული სახსრები არასაკმარისი აღმოჩნდა, კომპანიის მაკონტროლებელი პირები, დედაკომპანიის მეშვეობით, უზრუნველყოფენ კომპანიის კაპიტალის ზრდას მინიმუმ 8.5 მილიონი აშშ დოლარით, არსებული ობლიგაციებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვის ვადამდე. აღნიშნული თანხა საკმარისი იქნება კომპანიის ლიკვიდურობის პრობლემების დასაძლევად მომავალი 12 თვის განმავლობაში.

კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კომპანიის მენეჯმენტი და მაკონტროლებელი პირები თვლიან რომ ზემოთ განმარტებულ გეგმას წარმატებით შეასრულებენ და დაძლევენ კომპანიის წინაშე მდგარ უწყვეტი ფუნქციონირების პრობლემების მოგვარებას. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის რომ, „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში

2.3 წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

2.4 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს

დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები;
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.5 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხვნამდე.

2.6 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ფინანსური რისკები - მე-19 შენიშვნა;
- საიჯარო მოთხოვნები - მე-9 შენიშვნა;

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს

დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.7 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითაც ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.8 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას და სესხებს.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სავაჭრო ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.9 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.10 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, გრძელვადიანი მოძრავი აქტივები რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციული ან იჯარით გაცემის მიზნებისათვის, აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

	სასარგებლო მომსახურების ვადა
აღჭურვილობა (მათ შორის ოფისის აღჭურვილობა), ავეჯი და სხვა ინვენტარი	3 - 10
სატრანსპორტო საშუალებები	10

2.11 საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებას საწყისი აღიარებისას აღრიცხავს თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ საინვესტიციო ქონება ფასდება სამართლიანი ღირებულებით. საინვესტიციო ქონებას კომპანია აქტივად აღიარებს როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ჩაირთვება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც ეს ცვლილება მოხდა. სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ საინვესტიციო ქონებას ცვეთა არ ერიცხება.

საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებული საიჯარო შემოსავალი და საოპერაციო ხარჯები ჩართულია საიჯარო შემოსავალსა და სხვა ხარჯებში, შესაბამისად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.12 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.14 გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაი, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

2.15 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნათშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.16 განთავსებული კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბერს კომპანიის კაპიტალი კლასიფიცირებული იყო როგორც „საწესდებო კაპიტალი", რომელიც მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით წარმოადგენდა „განთავსებული კაპიტალის" იდენტურ ცნებას. შემდგომში, პროსპექტის (2024 წლის 01 აგვისტო) შედგენის თარიღისათვის კომპანიაში განხორციელებული კაპიტალ-შენატანები კვალიფიცირებულ იქნა დამატებით შენატანად, ხოლო 2024 წლის 25 დეკემბერს კომპანიამ პარტნიორთა გადაწყვეტილებით შეცვალა განხორციელებული კაპიტალ-შენატანების კვალიფიკაცია და დაადასტურა, რომ აღნიშნული სახსრები წარმოადგენდა განთავსებულ კაპიტალს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების განთავსებული კაპიტალი შეადგენს 38,653,921 ლარს. კომპანიის კაპიტალი დაყოფილია 100 წილად, 1 წილის ნომინალური ღირებულება განსაზღვრულია 386,539 ლარით, რაც დადასტურებულია შესაბამისი პარტნიორთა კრების ოქმებით. ამასთან, განთავსებული კაპიტალი 38,653,921 ლარი სრულად განაღდებულია ე.ი. შევსებულია სრულად.

ამასთან, კომპანიას არ მიუღია გადაწყვეტილება განთავსებული კაპიტალის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე, რადგან კომპანიისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილობითი განმარტებით „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, მათ შორის მე-13 მუხლით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის განთავსებული კაპიტალი არ წარმოადგენდა სავალდებულო სარეგისტრაციო მონაცემს, განსხვავებით სააქციო საზოგადოებისგან.

განთავსებულ კაპიტალთან დაკავშირებით კომპანია მოქმედებს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლისა და 134-ე მუხლის შესაბამისად. ამავდროულად, კომპანიას შემუშავებული აქვს შიდა პოლიტიკა „შპს „ჭავჭავაძის 64ბ_ს მოგების განაწილების შესახებ", რომელიც ასევე მოიწონა კომპანიის პარტნიორმა. მითითებული შიდა პოლიტიკის შესაბამისად, დადგენილია, რომ მოგების განაწილება იკრძალება, თუ ა) კომპანიას წინა წლებში აკუმულირებული აქვს მნიშვნელოვანი ზარალი. ბ) განაწილება დააზიანებს კომპანიის გადახდისუნარიანობას გ) განაწილება დაარღვევს საქართველოს კანონმდებლობითა ან/და კომპანიის წესდებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს, რაც მათ შორის გულისხმობს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 145-ე მუხლის დანაწესს. 2025

წლის განმავლობაში კომპანიას მოგება არ გაუნაწილებია, არ გაუცია დივიდენდი. კომპანიის კაპიტალის წილები სრულად დაგირავებულია დედა კომპანიის სესხების უზრუნველყოფის მიზნით.

2.17 ნასესხები საშუალებები

ნასესხები საშუალებების აღიარება თავდაპირველად ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.18 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების, - რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შეძენას, მშენებლობას, ან წარმოებას, და რაც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისათვის (განსაკუთრებული აქტივები) საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი, - კაპიტალიზაცია ხდება როგორც ამ აქტივების ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ თარიღამდე, როდესაც აქტივები არსებითად მზად არის გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

კომპანია ახდენს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზაციას, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ კომპანია არ გასწევდა კაპიტალურ დანახარჯებს განსაკუთრებულ აქტივებზე. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული კაპიტალიზებული დანახარჯები გაიანგარიშება კომპანიის საშუალო დაფინანსების ღირებულებით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი ვრცელდება განსაკუთრებულ აქტივებზე გაწეულ დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად განსაკუთრებული აქტივის მოპოვების მიზნით. ასეთ შემთხვევაში ხდება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების, შემცირებული ამ სესხით სარგებლობის დროებით ინვესტირებაზე გაწეული საინვესტიციო შემოსავალით, - კაპიტალიზება.

2.19 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

2.20 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.21 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

2.22 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.23 უცხოულ ვალუტაში გადაანგარიშება

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი სამართლიანი ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება როგორც სამართლიანი ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

	დოლარი	ევრო
2025 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6951	3.1737
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306

2.24 აქტივების იჯარით გაცემა

გადაცემულ საიჯარო აქტივებთან დაკავშირებით კომპანიას არ აქვს გადაცემული საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, შესაბამისად გაცემული იჯარები განიხილება, როგორც საოპერაციო. კომპანია საოპერაციო იჯარიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს, წრფივი მეთოდით, საიჯარო გადახდების შესაბამისად.

2.25 იჯარის საფუძველზე აქტივებზე კონტროლის მოპოვება (კომპანია როგორც მოიჯარე)

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

ა) ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მისაღები წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით

გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;

დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას

ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

საიჯარო გადახდები მოიცავს გარკვეულ არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადახდებს. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები ისეთი გადახდებია, რომლებიც ფორმის მიხედვით შეიძლება ცვალებადობას ითვალისწინებდეს, მაგრამ, თავისი არსით, გარდაუვალი გადახდებია. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც გადახდები იმგვარადაა სტრუქტურირებული, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდები, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი არ არის ნამდვილი ცვალებადობა. ამგვარი გადახდები მოიცავს ისეთ ცვალებად პირობებს, რომლებსაც რეალური ეკონომიკური შინაარსი არ გააჩნია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება საიჯარო ხელშეკრულების ვადას დამატებული ხელმძღვანელობის მიერ გაგრძელების უფლების შეფასების პერიოდზე.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება გამოყენების სფერო და ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენეტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. საიჯარო გადახდების

განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა აფასებს ხელშეკრულების ფიქსირებულ ფასს და არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელებს.

მოკლევადიანი იჯარა, ცვლადი საიჯარო გადახდები და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც ასახული არ არის საიჯარო ვალდებულების შეფასებაში იმ პერიოდში, წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც წარმოიშვა ამ გადახდების გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

2.26 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.27 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

2.28 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.29 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომოანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინასნურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

3.1 საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასება. კომპანია მიწისა და შენობებისთვის იყენებს სამართლიანი ღირებულების მოდელს. კომპანიამ დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი სამართლიანი ღირებულების

შეფასებისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება დაკავშირებულია მნიშვნელოვან დაშვებებთან. დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 5.

3.2 საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. დეტალები იხილეთ ახსნა-განმარტებით შენიშვნა 2.2.

3.3 ანარიცხი. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები. მენეჯმენტის მიერ ანარიცხები შექმნილია ამ დარიცხვების კომპენსირების მიზნით იხილეთ ახსნა-განარტებითი შენიშვნა 14. ფაქტიური დარიცხვები შეიძლება განსხვავებული იყოს.

4. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში

4.1 ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა კომპანიისთვის 2025 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მათ დანერგვას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ბასს 21-ის ცვლილებები - გაცვლის შეუძლებლობა (ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან). 2023 წლის აგვისტოში IASB-მა გააუმჯობესა ბასს 21 და დაამატა მოთხოვნები, რომლებიც დაეხმარება სუბიექტებს, განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა, ვალუტის სხვა ვალუტაში გაცვლა და რა კურსი უნდა გამოიყენონ გაცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამ ცვლილებამდე ბასს 21 ასახავდა გაცვლითი კურსის გამოყენებას მაშინ, როდესაც გაცვლა დროებით არ იყო შესაძლებელი, მაგრამ არ განიხილავდა იმ შემთხვევას, როდესაც გაცვლის პრობლემა მუდმივი იყო.

2025 წელს გამოიცა ინტერპრეტაციების კომიტეტის დღის წესრიგის შემდეგი გადაწყვეტილებები (agenda decisions), რომლებიც შესაძლოა აქტუალური იყოს იმ წლიური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, რომლებიც იწყება 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. „გამოცემის თარიღი" მიუთითებს ბასსბ-ის (IASB) ვებგვერდზე მითითებულ დამტკიცების თარიღს:

გამოცემის თარიღი	შინაარსი
2025 თებერვალი	ბასს 7: ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია „ბაზარზე უზრუნველყოფილი" (Collateralised-to-Market) კონტრაქტების ცვალებადი მარჟის მოთხოვნებთან (Variation Margin Calls) დაკავშირებით გადაწყვეტილებამ განმარტა ცვალებადი მარჟის მოთხოვნებიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია საოპერაციო ან ფინანსურ საქმიანობად.
2025 აპრილი	ფასს 15: სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლის აღიარება. გადაწყვეტილება იძლევა მითითებებს სწავლის საფასურიდან შემოსავლის აღიარებაზე, განსაკუთრებით შესასრულებელი ვალდებულებებისა და აღიარების ვადების შესახებ.
2025 აპრილი	ბასს 38: კლიმატთან დაკავშირებული ხარჯებიდან წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების აღიარება. გადაწყვეტილებამ დააზუსტა, თუ როდის უნდა მოხდეს კლიმატის ინიციატივების ხარჯების (მაგ. კვლევა-განვითარება) კაპიტალიზაცია არამატერიალურ აქტივებად და როდის უნდა მოხდეს მათი ასახვა ხარჯებში.
2025 აპრილი	სხვა სუბიექტების ვალდებულებებზე გაცემული გარანტიები. გადაწყვეტილება შეეხო სხვა სუბიექტების ვალდებულებებზე გაცემული გარანტიების აღრიცხვას, მათი სათანადო აღიარებისა და შეფასების უზრუნველსაყოფად.
2025 ივლისი	ბასს 29: ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ინდიკატორების შეფასება. გადაწყვეტილება იძლევა მითითებებს ბასს (IAS) 29-ის ინდიკატორების გამოყენებაზე იმის შესაფასებლად, გახდა თუ არა ეკონომიკა ჰიპერინფლაციური.

4.2 ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არც წინასწარ არის დანერგილი:

კომპანიამ ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2025 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები – ცვლილებები ფასს 9 და ფასს 7-ში (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).

2024 წლის მაისში IASB-მა გამოუშვა ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტების მიზნობრივი ცვლილებები, რათა უპასუხოს პრაქტიკაში გაჩენილ ახალ შეკითხვებს და შეიტანოს ახალი მოთხოვნები არა მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, არამედ კორპორაციული საწარმოებისათვის. ამ ცვლილებებში შედის:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და გაუქმების თარიღების დაზუსტება ახალი გამონაკლისით, რომელიც შეეხება ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდილ ზოგიერთ ფინანსურ ვალდებულებას.
- დამატებითი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს, შეესაბამება თუ არა ფინანსური აქტივი ძირისა და პროცენტის კრიტერიუმებს.
- ახალი განმარტებითი შენიშვნების დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადი (მაგალითად: ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ გარემოს, სოციალური და მართვის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული მახასიათებლები).
- განმარტებითი შენიშვნების განახლება აქციების ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში.

  მეორე პუნქტში მოცემული განახლებები მეტწილად განკუთვნილია ფინანსურ ინსტიტუტებისათვის, ხოლო დანარჩენ პუნქტებში მოცემული ცვლილებები ყველა საწარმოსათვის რელევანტურია.

  ფასს 9-ისა და ფასს-ის ცვლილებები ეფექტური იქნება წლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან ან მოგვიანებით.

ფასს (IFRS) აღრიცხვის სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესებები (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან) ბასსბ-მა (IASB) 2024 წლის სექტემბერში განახორციელა შემდეგი გაუმჯობესებები:

- ფასს 1, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“: ფასს 1-სა და ფასს 9-ს შორის შესაბამისობის გაზრდა ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებთან დაკავშირებით და ფასს 1-ის გასაგებობის გაუმჯობესება.
- ფასს 7, „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“: ფასს 7-ში გამოყენებული ტერმინოლოგიის შესაბამისობაში მოყვანა ფასს 13-ის („სამართლიანი ღირებულების შეფასება“) ენასთან.
- ფასს 9, „ფინანსური ინსტრუმენტები“: იმის დაზუსტება, თუ როგორ აღრიცხავს მოიჯარე საიჯარო ვალდებულების აღიარების შეწყვეტას მისი დაფარვისას;
- ფასს 9-სა და ფასს 15-ს შორის არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრა ტერმინთან „ტრანზაქციის ფასი“ დაკავშირებით.
- ფასს 10, „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“: სუბიექტის „დე ფაქტო აგენტების“ განსაზღვრასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაზუსტება.
- ბასს 7, „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“: ტერმინ „თვითღირებულების მეთოდის“ (cost method) ჩანაცვლება ტერმინით „თვითღირებულებით“ (at cost), რადგან ძველი ტერმინი აღარ არის განსაზღვრული ფასს სტანდარტებში.

ბუნებრივ პირობებზე დამოკიდებულ ელექტროენერგიასთან დაკავშირებული კონტრაქტები (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან)

2024 წლის დეკემბერში IASB -მა გამოსცა მიზნობრივი ცვლილებები IFRS 7-სა და IFRS 9-ში, რათა სუბიექტებს მიეცეთ საშუალება უკეთ ასახონ ბუნებრივ პირობებზე დამოკიდებული ელექტროენერგიის კონტრაქტები ფინანსურ ანგარიშგებაში.

აღნიშნული ცვლილებები:

(ა) განმარტავს „საკუთარი მოხმარების" (own-use) კრიტერიუმების გამოყენებას ამ ტიპის კონტრაქტების მიმართ;

(ბ) უშვებს ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებას, თუ ეს კონტრაქტები გამოიყენება როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები;

(გ) ამატებს განმარტებითი შენიშვნების ახალ მოთხოვნებს, რათა მომხმარებლებმა უკეთ გაიგონ ამ კონტრაქტების გავლენა სუბიექტის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

IFRS 9-ისა და IFRS 7-ის ცვლილებები ძალაში შედის წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

ფასს 18, პრეზენტაცია და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). ახალი სტანდარტი ანაცვლებს ბასს 1-ს და ორიენტირებულია მოგება-ზარალის უწყისის განახლებებზე.

ფასს 18-ში წარდგენილი ძირითადი საკითხები ეხება:

- მოგება-ზარალის უწყისის სტრუქტურას
- მოგება-ზარალის უწყისში ხარჯების პრეზენტაციისათვის ყველაზე გამოსადეგი სტრუქტურის განსაზღვრას.
- საჭირო განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც შეეხება გარკვეული მოგების ან დანაკარგის შესრულების ზომებს, რომლებიც წარმოდგენილია კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (მენეჯმენტით განსაზღვრული შესრულების ზომები).
- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგაციისა და დისაგრეგაციის შესახებ, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19-დედა კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). მოცემული ახალი სტანდარტი მუშაობს ფასს-ის სხვა სტანდარტებთან ერთად. შესაფერისი შვილობილი კომპანია ატარებს ანგარიშგების სტანდარტებში არსებულ ფასს-ის სხვა მოთხოვნებს, განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გარდა და იყენებს შემცირებულ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს. ფასს 19 წარმოადგენს ნებაყოფლობით სტანდარტს შესაფერისი შვილობილი კომპანიებისათვის.

შვილობილი კომპანია შესაფერისია თუ:

- არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.
- ჰყავს ძირითადი ან შუამავალი დედა კომპანია, რომელიც აწარმოებს ფასს-ის სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

5. საინვესტიციო ქონება

სამართლიანი ღირებულება	მიწა და შენობა-ნაგებობები
31.12.2023	**86,330**
გაუმჯობესება	1,464
აფასება	3,708
31.12.2024	**91,502**
გაუმჯობესება	676
ჩამოფასება	(814)
31.12.2025	**91,364**

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრისთვის მდგომარეობით საინვესტიციო ქონებაში ასახული შენობები და მიწა წარმოადგენდა კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას. (იხ. შენიშვნა 12). საინვესტიციო ქონება წარმოადგენს იჯარით გაცემულ შენობა ნაგებობას საერთო ფართით 17,890.65 კვ.მ. რომელიც მდებარეობს ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 64ა.

საინვესტიციო ქონება შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 2025 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრისთვის. საინვესტიციო ქონება გაცემულია საოპერაციო იჯარით სხვა კომპანიებზე ან წარმოადგენს ვაკანტურს.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შენობებისა და მიწები სხვა და მახასიათებლების გამო ჩათვლილია როგორც სპეციფიკური ვინაიდან საქართველოში მსგავსი აქტივებისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი, შესაბამისად სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულება კლასიფიცირდება როგორც 3 დონე (მე-3 დონის ამოსავალი ინფორმაციით შეფასებული სამართლიანი ღირებულება).

დისკონტირების განაკვეთი, ტერმინალური ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებული ზრდის კოეფიციენტი, საიჯარო ფასების ზრდის კოეფიციენტი და დატვირთვის კოეფიციენტი წარმოადგენს ძირითადი მე-3 დონის ამოსავალი ინფორმაციას, რომელიც გამოყენებული აქვს საშემფასებლო კომპანიას საინვესტიციო ქონების შეფასებისათვის. ეს მონაცემები საშემფასებლო კომპანიამ შეაფასა შესადარისი ინფორმაციისა და ზოგადად ინდუსტრიის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ქვემოთ ცხრილში მოცემულია წლების მიხედვით გამოყენებული მონაცემები:

ძირითადი მე-3 დონის ამოსავალი ინფორმაცია	31.12.2025	31.12.2024
დისკონტირების განაკვეთი (რაც უფრო მაღალია მით უფრო იკლებს შეფასებული ღირებულება)	12.5%	13.0%
ტერმინალური ღირებულების გაანგარიშებისას გამოყებული ზრდის კოეფიციენტი (რაც უფრო მაღალია მით უფრო იკლებს შეფასებული ღირებულება)	2.24%	2.08%
საიჯარო ფასების ზრდის კოეფიციენტი (რაც უფრო მაღალია მით უფრო იზრდება შეფასებული ღირებულება)	0-4.5%	0-6%
დატვირთვის კოეფიციენტი (რაც უფრო მაღალია მით უფრო იზრდება შეფასებული ღირებულება)	95.4%	96.7%

ზემოთ მოცემული სათითაო კოეფიციენტების 1 პროცენტით ზრდა სხვა ინფორმაციის უცვლელობის შემთხვევაში გამოიწვევს ღირებულების შემდეგ ცვლილებას:

ძირითადი მე-3 დონის ამოსავალი ინფორმაცია	31.12.2025	31.12.2024
დისკონტირების განაკვეთი	(7,546)	(7,298)
ტერმინალური ღირებულების გაანგარიშებისას გამოყებული ზრდის კოეფიციენტი	6,738	6,175
საიჯარო ფასების ზრდის კოეფიციენტი	6,738	842
დატვირთვის კოეფიციენტი	1,078	842

კოეფიციენტების 1 პროცენტით შემცირებას იგივე მონეტარული ეფექტი, ოღონდ საპირისპირო ნიშნით.

პერიოდებს შორის შეფასების ტექნიკაში მომხდარი ცვლილება არ მომხდარა. სამართლიანი ღირებულების გაზომვა ხდება ზემოთ მოცემული აქტივების ყველაზე მაღალი და საუკეთესო გამოყენების საფუძველზე, რაც არ განსხვავდება მათი ფაქტობრივი გამოყენებისგან.

6. ძირითადი საშუალებები

	აღჭურვილობა (მათ შორის ოფისის აღჭურვილობა), ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება:			
31.12.2023	**450**	**563**	**1,013**
შემოსვლა	4	-	4
გასვლა	(7)	(519)	(526)
31.12.2024	**447**	**44**	**491**
შემოსვლა	65	-	65
გასვლა	(18)	-	(18)
31.12.2025	**494**	**44**	**538**
დაგროვილი ცვეთა:			
31.12.2023	**236**	**132**	**368**
წლის ცვეთა	72	23	95
გასვლა	(7)	(131)	(138)
31.12.2024	**301**	**24**	**325**
წლის ცვეთა	66	3	69
გასვლა	(11)	-	(11)
31.12.2025	**356**	**27**	**383**
საბალანსო ღირებულება:			
31 დეკემბერი 2023	**214**	**431**	**645**
31 დეკემბერი 2024	**146**	**20**	**166**
31 დეკემბერი 2025	**138**	**17**	**155**

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების ჯგუფის - აღჭურვილობა (მათ შორის ოფისის აღჭურვილობა), ავეჯი და სხვა ინვენტარი, აქტივების ნაწილი არის იჯარით გაცემული, რომელთა საბალანსო ღირებულებაა: 5 და 8 შესაბამისად.

7. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ცხრილი გვიჩვენებს აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობას.

	2025	2024
1 იანვარი	**308**	**360**
ცვეთა	(52)	(52)
31 დეკემბერი	**256**	**308**

ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების მოძრაობას.

	2025	2024
1 იანვარი	**348**	**403**
საპროცენტო ხარჯი	32	35
გადახდა	(81)	(84)
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი	28	(6)
31 დეკემბერი	**327**	**348**

იჯარით აღებული აქტივი მოიცავს 23 ცალ ავტოსადგომს საერთო ფართით 287.5 კვ.მ., რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N 64ა. აქტივების იჯარის მიზნით გაფორმებულია ორი ხელშეკრულება 4 და 11 წლამდე იჯარის ვადით. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი ამ იჯარის ხელშეკრულებების სახელშეკრულებო ვადა შეადგენს 1 და 8 წელს.

იჯარის ხელშეკრულებები არ გულისხმობს რაიმე სახის პირობებს (კოვენანტებს) საკუთრების უფლებების დაცვის გარდა საიჯარო აქტივებში, რომელსაც ფლობს მეიჯარე. საიჯარო აქტივები არ შეიძლება, გამოყენებული იქნას უზრუნველყოფად სესხებზე.

8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2025	31.12.2024
საქონელი	3	3
სამშენებლო მასალები	96	102
სხვა მარაგი	8	8
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	**107**	**113**

9. საიჯარო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2025	31.12.2024
მოთხოვნები მეიჯარეებიის მიმართ	386	467
გადახდილი ავანსები	105	257
სულ საიჯარო და სხვა მოთხოვნები	**491**	**724**

10. გაცემული მოკლევადიანი სესხები

	31.12.2025	31.12.2024
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები ლარში	1,247	-
სხვა გაცემული მოკლევადიანი სესხები ლარში	470	-
სხვა გაცემული მოკლევადიანი სესხები დოლარში	270	433
სხვა გაცემული მოკლევადიანი სესხები ევროში	-	30
სულ გაცემული მოკლევადიანი სესხები	**1,987**	**463**

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2025	31.12.2024
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	6,242	1,790
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	2,101	1,349
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**8,343**	**3,139**

12. ნასესხები საშუალებები

	31.12.2025	31.12.2024
სესხები მოკლევადიანი		
ბანკისგან მიღებული მოკლევადიანი სესხი ევროში ცვლადი პროცენტით	30	36
ობლიგაციები ფიქსირებული პროცენტით დოლარში	27,776	814
ობლიგაციები ფიქსირებული პროცენტით ევროში	9,778	226
სულ მოკლევადიანი სესხები	**37,584**	**1,076**

სესხები გრძელვადიანი		
ბანკისგან მიღებული გრძელვადიანი სესხი ევროში ცვლადი პროცენტით	24,968	23,046
ობლიგაციები ფიქსირებული პროცენტით დოლარში	-	28,068
ობლიგაციები ფიქსირებული პროცენტით ევროში	-	8,792
სულ გრძელვადიანი სესხები	**24,968**	**59,906**
სულ სესხები	**62,552**	**60,982**

წარდგენილ სასესხო ვალდებულებებსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ფინანსურ ფულად ნაკადებს შორის ურთიერთკავშირი შემდეგია:

	31.12.2025	31.12.2024
ნაშთი 1 იანვარს	**60,982**	**67,145**
მიღებული სესხი	-	23,534
ობლიგაციების გამოშვება	-	36,014
სესხების დაფარვა	-	(63,029)
საპროცენტო ხარჯი	5,027	5,815
პროცენტის დაფარვა	(4,974)	(8,909)
სესხების დაფარვის გამო წარმოქმნილი ფინანსური მოგება	-	(137)
გაცვლითი კურსის გავლენა ნაშთებზე	1,517	549
ნაშთი 31 დეკემბერს	**62,552**	**60,982**

„სესხები უზრუნველყოფილია საინვესტიციო ქონებით. სესხების უზრუნველყოფაში არსებული საინვესტიციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა."

2024 წლის აგვისტოში კომპანიამ მიიღო 20,000,000 (ოცი მილიონი) ევროს ექვივალენტი ჯამური ნომინალური ღირებულების პირდაპირი, არასუბორდინირებული ობლიგაციები გამოშვების უფლება, ორი ან რამდენიმე ემისიის სახით. ამ უფლების ფარგლებში 2024 წლის 21 აგვისტოს კომპანიამ გამოუშვა 3 მილიონი ევროს და 10 მილიონი დოლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2026 წლის 22 აგვისტო. კომპანიას ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს ფიქსირებული პროცენტი წლიურად ევროში 7.75% და დოლარში 8.75%. ობლიგაციებზე კუპონი/პროცენტი გადაიხდება ნახევარწლიურად. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სესხები არის 8-9 წლამდე ვადიანობის. კომპანიის ყველა სესხი აღებულია ბანკებისაგან (სს „თიბისი ბანკი" ს/კ 204854595 და სს „პაშა ბანკი საქართველო" ს/კ 404433671) ევროში.

ბანკებისაგან აღებულ ევროში დენომინირებულ სესხებს აქვთ მცოცავი განაკვეთი, რომელიც მიბმულია Euribor-ზე შემდეგი დიაპაზონით 7.1% - 9.3%.

სესხები და ობლიგაცია ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებების დაკმაყოფილებას, მათ შორის დივიდენდების და სესხის გაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ობლიგაციების მფლობელს/გამსესხებელს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს შესაბამისი სესხის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა ვადაზე ადრე. ფინანსური შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში ობლიგაციების და სესხების ხელშეკრულება მოიცავს შეზღუდვებს დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებით.

სესხების ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ბანკებმა დაუწესა კომპნიას ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები. ამ შეზღუდვების ნაწილი ეხება გარკვეულ ფინანსური კოეფიციენტებთან შესაბამისობას. სესხის ვადის ამოწურვამდე კომპანია ვალდებულია, შეინარჩუნოს შემდეგი ფინანსური მაჩვენებელი, DSCR (სესხის მომსახურების კოეფიციენტი) შენარჩუნებულ უნდა იქნეს მინიმუმ, 1.2 დონეზე, ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა უნდა შადგინოს საოპერაციო მოგების DEBT/EBITDA (ფინანსური ვალდებულებების თანაფარდობა მოგბასთან დაბეგვრამდე, ცვეთამდე, და პროცენტამდე) ტოლი ან 6.5-ზე ნაკლები. ფინანსური შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში, ბანკებს, სხვა დანარჩენთან ერთად, უფლება აქვთ, განახორციელონ გარკვეული ქმედებები, მათ შორის: კლიენტისთვის შეტყობინებით ცალმხრივად გაზარდონ საპროცენტო სარგებლის განაკვეთი მაქსიმუმ 2%-ით. თუ დარღვეული პირობები არ შესრულდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში ან დარღვევა მეორდება სისტემატურად, ბანკები იტოვებენ უფლებას, შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება წერილობითი შეტყობინების მიწოდების გზით და უკან გამოითხოვონ სესხის თანხა ან მისი ნებისმიერი ნაწილი; მოითხოვონ ბანკების მიერ განსაზღვრული ოდენობის თანხის დეპონირება მათ მიერ მითითებულ ანგარიშზე კლიენტის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად; გამოიყენონ (განახორციელონ) ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და დამატებითი, ან/და ბანკებთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულებით/შეთანხმებით ბანკებისთვის მინიჭებული სხვა უფლებები. კომპანია შესაბამისობაშია საბანკო სესხებით დაწესებულ შეზღუდვის პირობებთან.

ობლიგაციების პირობების მიხედვით კომპანიას არ აქვს უფლება განახორციელოს გარკვეული ქმედებები მათ შორის: აიღოს ახალი ფინანსური ვალდებულება, გასცეს დივიდენდები, გაიტანოს კაპიტალი და ა. შ. ვიდრე არ დააკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ კოეფიეციეტებს: სასესხო ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი, რომელიც მეტი ან ტოლი უნდა იყოს 1.2 ერთეულზე, სასესხო ვალდებულების საოპერაციო მოგებასთან შეფარდების კოეფიციენტი, რომელიც ნაკლები ან ტოლი უნდა იყოს 6.5 ერთეულზე ან/და ჯამური სესხებისა და საინვესტიციო ქონების ღირებულება რომელიც ნაკლები ან ტოლი უნდა იყოს 0.7-ზე. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს დაცული ზემოთ მოყვანილი ყველა კოეფიციენტი.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2025	31.12.2024
სავაჭრო ვალდებულებები	68	102
საგადასახადო ვალდებულებები	34	48
მოიჯარეებიდან მიღებული ავანსები	3,573	3,468
გადასახდელი ხელფასები	4	-
სხვა ავანსები	7	6
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**3,686**	**3,624**

14. ანარიცხი

	31.12.2025	31.12.2024
საგადასახადო ანარიცხი	-	191

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა

უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები. ანარიცხები შექმნილია ამ დარიცხვების კომპენსირების მიზნით.

15. სხვა შემოსავალი (ნეტო)

	31.12.2025	31.12.2024
დარიცხული პირგასამტეხლო იჯარის უწყვეტობის ვადის დარღვევისთვის	1,030	-
სარემონტო სამუშაოების კომპენსირების მიზნით მიღებული შემოსავლები	283	2,755
სარემონტო სამუშაოების ხარჯები	(138)	(2,673)
შესყიდული სარეკლამო დროის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	110	85
შესყიდული სარეკლამო დროის ღირებულება	(105)	(81)
სხვა შემოსავლები (ნეტო)	30	5
სულ სხვა შემოსავალი (ნეტო)	**1,210**	**91**

16. საპროცენტო შემოსავალი

	31.12.2025	31.12.2024
საპროცენტო შემოსავლები დაკავშირებულ მხარესთან გაცემულ სესხებზე	216	74
საბანკო ანგარიშზე დარიცხული სარგებელი	110	50
საპროცენტო შემოსავლები სხვა კომპანიებთან გაცემულ სესხებზე	33	-
სესხების ვადაზე ადრე დაფარვის გამო წარმოქმნილი ფინანსური მოგება	-	137
გრძელვადიანი ავანსების დისკონტირებით მიღებული ფინანსური შემოსავლები	-	65
სულ საპროცენტო შემოსავალი	**359**	**326**

17. საპროცენტო ხარჯები

	31.12.2025	31.12.2024
საპროცენტო ხარჯები ობლიგაციებზე	(3,119)	(1,102)
საპროცენტო ხარჯები სესხებზე ფინანსური ინსტიტუტებიდან	(1,851)	(4,692)
გრძელვადიანი ავანსების დისკონტირებით გამოწვეული ფინანსური ხარჯები	(137)	-
ობლიგაციების განთავსების ხარჯების ფინანსური ამორტიზაცია	(58)	(22)
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებაზე	(32)	(35)
სულ საპროცენტო ხარჯები	**(5,197)**	**(5,851)**

კომპანიამ მიიღო 2024 წელს უსასყიდლო სპეციალური დაფინანსება, ფასიანი ქაღალდების განთავსებასთან დაკავშირებით ცალკეული ხარჯების კომპენსირების მიზნით, 289,115.36 ლარის ოდენობით, შემოსავალი და შესაბამისი ხარჯებიც განეტებული სახით არის წარდგენილი.

18. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ, შესაძლოა, შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ფინანსური გარკვეული კოეფიციენტების შენარჩუნების ვალდებულებების სტატუსი - დეტალები იხილეთ ახსნა-განმარტებით შენიშვნა 12.

19. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებსა და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს, მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს, საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის

ძირითადი ამოცანებია: რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

19.1 საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე, სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2025	31.12.2024
მოთხოვნები მეიჯარებიის მიმართ	386	467
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	8,343	3,139
გაცემული მოკლევადიანი სესხები	1,987	463
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	**10,716**	**4,069**

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით, რომლებიც, ზოგადად, კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსს მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიის შეფასებით, საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნულის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე იჯარიდან წარმოქმნილი დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი არ არსებობს და არ არის შექმნილი საეჭვო ვალების რეზერვი.

19.2 საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

19.3 სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ, მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დოლარი ლარში	ევრო ლარში	სულ
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები მეიჯარებიის მიმართ	10	149	**159**
გაცემული მოკლევადიანი სესხები	270	-	**270**
ფული და ფულის ეკვივალენტი	3,496	2,746	**6,242**
სულ ფინანსური აქტივები	**3,776**	**2,895**	**6,671**

	დოლარი ლარში	ევრო ლარში	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	-	(327)	**(327)**
ობლიგაციები და სესხები	(27,804)	(34,821)	**(62,625)**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(27,804)**	**(35,148)**	**(62,952)**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**(24,028)**	**(32,253)**	**(56,281)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დოლარი ლარში	ევრო ლარში	სულ
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები მეიჯარეების მიმართ	149	133	**282**
გაცემული მოკლევადიანი სესხები	433	30	**463**
ფული და ფულის ეკვივალენტი	1	1,789	**1,790**
სულ ფინანსური აქტივები	**583**	**1,952**	**2,535**
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(2)	**(2)**
საიჯარო ვალდებულებები	-	(348)	**(348)**
ობლიგაციები და სესხები	(28,956)	(32,162)	**(61,118)**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(28,956)**	**(32,512)**	**(61,468)**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**(28,373)**	**(30,560)**	**(58,933)**

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31 დეკემბერი 2025 წ.		31 დეკემბერი 2024 წ.	
	ზეგავლენა, მოგება (ზარალზე)	ზეგავლენა, საკუთარ კაპიტალზე	ზეგავლენა, მოგება (ზარალზე)	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(4,806)	-	(5,675)	-
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	4,806	-	5,675	-
ევროს გამყარება 20%-ით	(6,451)	-	(6,112)	-
ევროს დასუსტება 20%-ით	6,451	-	6,112	-

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

19.4 საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. გარდა ქვემოთ მოცემული სესხისა, კომპანიის მიერ გაცემული და მიღებული სესხები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთიანია. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განკვეთი ჯობია კომპანიისთვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი.

ფიქსირებული განაკვეთებით აღებული და გაცემული სესხების პირობებში, კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს. ქვემოთ მოცემულია იმ ფინანსური აქტივებისა და ვალედებულებულების საბალანსო მონაცემები, რომლებიც ექვემდებარება ამ რისკს:

	31.12.2025	31.12.2024
მიღებული ობლიგაციები	37,554	37,900
გაცემული სესხები	1,987	463

ცვალებად განაკვეთიანი სესხი - 2025 წლის და 2024 წლის 31 დეკემბრისათვის ცვალებად განაკვეთიანი პროცენტის მქონე სესხების ნაშთები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 12-ში. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად.

19.5 ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2025 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების შესაბამისად. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კურსის მიხედვით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	68	-	-	-	**68**
საიჯარო ვალდებულებები	83	107	107	160	**457**
ობლიგაციები და სესხები	42,063	8,770	8,248	14,482	**73,563**
სულ	**42,214**	**8,877**	**8,355**	**14,642**	**74,088**

კომპანია გეგმები ვალდებულებების დაფარვას საიჯარო შემოსავლებით, დამფუძნებლების მხრიდან კაპიტალში შენატანებით და მოზიდული სახსრების რეფინანსირების გზით. დეტალები მოცემულია ახსნა-განარტებით შენიშვნა 2.2.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	102	-	-	-	**102**
საიჯარო ვალდებულებები	76	126	98	197	**497**
ობლიგაციები და სესხები	6,194	45,617	8,160	17,557	**77,528**
სულ	**6,372**	**45,743**	**8,258**	**17,754**	**78,127**

19.6 კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია, უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა აქციონერებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ, შესაძლოა, მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანია ექვემდებარება აღებულ სესხების ხელშეკრულებების მიხედვით კაპიტალისა და სხვა ფინანსური ელემენტების ზღვრული კოეფიციენტების სახით

დაწესებულ გარე მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების დეტალების და მათი სტატუსი მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 12. კომპანიის წილები დაგირავებულია დედა კომპანიის სესხების უზრუნველყოფის მიზნით.

20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - სამართლიანი ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

21. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსური აქტივებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით:

	31.12.2025	31.12.2024
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები		
მოთოხვნები მეიჯარებიის მიმართ	386	467
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	8,343	3,139
გაცემული მოკლევადიანი სესხები	1,987	463
სულ ფინანსური აქტივები	**10,716**	**4,069**
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	68	102
ნასესხები საშუალებები	62,552	60,982
საიჯარო ვალდებულებები	327	348
სულ ფინანსური ვალდებულებები	**62,947**	**61,432**

22. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები" მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

2025 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის	მაკონტროლებელი პირების მიერ კონტროლირებული კომპანიები	კომპანიების ძირითადი მენეჯმენტი
ნაშთები:		
მოთხოვნები მეიჯარებიის მიმართ	205	-
გაცემული მოკლევადიანი სესხები	1,247	-
საიჯარო ვალდებულებები	327	-
ოპერაციები:		
საიჯარო შემოსავალი	180	-
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	153	-
შემოსავალი კომუნალურის კომპენსაციიდან	6	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	1	-
ძირითადი საშულების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	2	-
გაცემული მოკლევადიანი სესხები	13,609	-
გაცემული მოკლევადიანი სესხის დაბრუნება	12,313	-
საპროცენტო შემოსავალი	216	-
მიღებული პროცენტი	224	-
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	32	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	81	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	-	12

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის	მაკონტროლებელი პირების მიერ კონტროლირებული კომპანიები	კომპანიების ძირითადი მენეჯმენტი
ნაშთები:		
მოთხოვნები მეიჯარებიის მიმართ	151	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1	-
საიჯარო ვალდებულებები	347	-
ოპერაციები:		
საიჯარო შემოსავალი	112	-
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	5	-
შემოსავალი კომუნალურის კომპენსაციიდან	8	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	2	-
ძირითადი საშულების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	265	-
გაცემული მოკლევადიანი სესხები	352	-
გაცემული მოკლევადიანი სესხის დაბრუნება	3,730	-
საპროცენტო შემოსავალი	24	-
მიღებული პროცენტი	290	-
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	35	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	84	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	-	8

პარტნიორების მიერ კაპიტალში შენატანის შესახებ ინფორმაცია მოცემულია საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში.

23. პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენებია

2026 წლის 1 აპრილს განხორციელდა კაპიტალის ზრდა 782 ათასი დოლარის (2,113 ათასი ლარი) ოდენობით, ამ თანხით წინსწრებით დაიფარა TBC ბანკში არსებული სესხი სრულად 678 ათასი ევროს ოდენობით.

ბალანსის შედგენის შემდგომ, არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 2 აპრილს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ჭავჭავაძის 64 ბ” _ს

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობითი ანგარიში

მმართველობითი ანგარიში 40
საქმიანობის მიმოხილვა 41

1. კომპანიის შესახებ 42
2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა 42
3. სტრატეგია და ამოცანები 43
4. ფინანსური ინფორმაცია 43
5. კომპანიის კაპიტალი 46
6. ფინანსური რისკები 47
7. ბიზნესთან დაკავშირებული რისკები 50

კორპორაციული მართვის ანგარიშგება 51

8. კომპანიის მმართველობითი ორგანო 51
9. პარტნიორთა საერთო კრება 51
10. სამეთვალყურეო საბჭო 52
11. დირექტორთა საბჭო 53
12. დივიდენდების პოლიტიკა 53
13. შიდა აუდიტის სამსახური 53

არა ფინანსური ანგარიშგება 53

14. თანამშრომლები და ანაზღაურება 53
15. შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა 54
16. ინტერესთა კონფლიქტი და საჩივრები 56

საქმიანობის მიმოხილვა

პასუხისმგებელი პირების განცხადება

ჩვენ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მარი ახვლედიანი და დირექტორი ანა მიქელაძე ვადასტურებთ, რომ:

- მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი რეგულაციებისა და კანონმდებლობის შესაბამისად;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და წლიური ანგარიში ზუსტად, სრულად და სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს, შემოსავალსა და ხარჯებს, კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს და ფულად ნაკადებს;
- მმართველობითი ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის განვითარების, ბიზნეს საქმიანობის შედეგების, ძირითადი რისკების სამართლიან მიმოხილვას;
- მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება არის სამართლიანი, გასაგები და უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის მიწოდებას ბიზნეს საქმიანობის შედეგების, კომპანიის არსებული მდგომარეობის და სამომავლო სტრატეგიების შესაფასებლად

პასუხისმგებლობის ეს განცხადება დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ:

2026 წლის 2 აპრილი

მარი ახვლედიანი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამოუკიდებელი წევრი

ანა მიქელაძე

დირექტორი

საქმიანობის მიმოხილვა

პასუხისმგებელი პირების განცხადება

ჩვენ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმდჯომარე მარი ახვლედიანი და დირექტორი ანა მიქელაძე ვადასტურებთ, რომ:

- მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი რეგულაციებისა და კანონმდებლობის შესაბამისად;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და წლიური ანგარიში ზუსტად, სრულად და სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს, შემოსავალსა და ხარჯებს, კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს და ფულად ნაკადებს;
- მმართველობითი ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის განვითარების, ბიზნეს საქმიანობის შედეგების, ძირითადი რისკების სამართლიან მიმოხილვას;
- მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება არის სამართლიანი, გასაგები და უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის მიწოდებას ბიზნეს საქმიანობის შედეგების, კომპანიის არსებული მდგომარეობის და სამომავლო სტრატეგიების შესაფასებლად

პასუხისმგებლობის ეს განცხადება დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ:

2026 წლის 2 აპრილი

_____

მარი ახვლედიანი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამოუკიდებელი წევრი

_____

ანა მიქელაძე

დირექტორი

1. კომპანიის შესახებ

შპს „ჭავჭავაძის 64 ბ“, საიდენტიფიკაციო კოდით: 404890891 (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წლის 14 მარტს. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71.

2025 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანია შპს „ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204853088), რომლის პარტნიორებიც არიან: ფ/პ ლაშა პაპაშვილი (პ/ნ 01008006654) – 50% და ფ/პ სულხან პაპაშვილი (პ/ნ 01018001248) – 50%.

2025 წლის 31 დეკემბრისათვის, კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმო და არ გააჩნია ფილიალი.

2025 წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 16. (2024: 18).

2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა

კომპანია ფლობს და მართავს ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №64ა-ში მდებარე, 19 სართულიან, A კლასის ბიზნეს-ცენტრს. შესაბამისად კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საოფისე ფართების გაქირავება.

ბიზნეს-ცენტრი გამოირჩევა თანამედროვე არქიტექტურითა და გამორჩეული ფასადით, იგი აღჭურვილია მაღალი სტანდარტის სახანძრო უსაფრთხოებითა და ენერგო-ეფექტური დანადგარებით. მდებარეობს თბილისის ცენტრში - ვაკეში, გარშემორტყმულია სასტუმროებით, სავაჭრო ცენტრებითა და საკვები დაწესებულებებით. აღსანიშნავია, რომ ბიზნეს-ცენტრს ემიჯნება სასტუმრო Hilton Garden Inn_ი თავისი სერვისებით, რაც ბიზნეს-ცენტრს უფრო მომხიბვლელს ხდის საერთაშორისო კომპანიებისათვის.

ბიზნეს-ცენტრმა ოპერირება დაიწყო 2019 წელს, იგი მოიცავს 13,137 კვ.მ წმინდა გასაქირავებელ ფართს, სადაც ძირითად ნაწილს საოფისე სივრცე წარმოადგენს (ჯამური სივრცის 97.8%), ხოლო კომერციული სივრცის ნაწილში (2.2%) განთავსებულია გალერეა. ბიზნეს-ცენტრის მაღალი სტანდარტებიდან გამომდინარე, მის ძირითად სამომხმარებლო სეგმენტს წარმოადგენს საერთაშორისო კორპორაციები და დიპლომატიური კორპუსები.

აღსანიშნავია, რომ კომპანია იჯარასთან ერთად მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს:

- ფართების მოვლა-პატრონობა (Maintenance);
- ფართების დალაგება-დასუფთავება;
- 24/7_ზე უსაფრთხოების დაცვა;
- წყლის და ელექტრო ენერგიის 24 საათიან ალტერნატიულ მიწოდებას, საჭიროების შემთხვევაში;
- ოფისის მენეჯერის მომსახურებას;
- ელექტონული ბარათით დაშვებას და მონიტორინგს.

ბიზნეს-ცენტრის ბოლო 3 წლის დატვირთულობის მაჩვენებელი მზარდია, იხ. ცხრილი:

თარიღი	დატვირთულობის მაჩვენებელი
31 დეკემბერი, 2023	80.9%
31 დეკემბერი, 2024	96.7%
31 დეკემბერი, 2025	97.8%

საიდანაც გაქირავებული საოფისე სივრცეების 76.68%_ს დიპლომატიური კორპუსები წარმოადგენენ, 15.75%_ს კი საერთაშორისო კომპანიების მიერაა დაკავებული, დანარჩენი 7.48% კი ადგილობრივი კომპანიები არიან.

2026 წლის ბოლოსათვის იგეგმება 99% დატვირთულობის მიღწევა, საოპერაციო ხარჯების ნაწილში კი 2024 წელთან შედარიებთი ცვლილებები არ იგეგმება, შესაბამისად იგივე ხარჯვითი ბიუჯეტის შენარჩუნება.

2024 წლის აგვისტოში კომპანიამ მიიღო 20,000,000 (ოც მილიონი) ევროს ექვივალენტი ჯამური ნომინალური ღირებულების პირდაპირი, არასუბორდინირებული ობლიგაციები გამოშვების უფლება, ორი ან რამდენიმე ემისიის სახით. საიდანაც გამოუშვა 3 მილიონი ევროს და 10 მილიონი დოლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2026 წლის 22 აგვისტო. კომპანიას ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს ფიქსირებული პროცენტი წლიურად ევროში 7.75% და დოლარში 8.75%. ობლიგაციებზე კუპონი/პროცენტი გადაიხდება ნახევარწლიურად. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

2026 წლის აგვისტომდე კომპანია გეგმავს 28 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ახალი ობლიგაციების გამოშვებასა და განთავსებას. მოზიდული სახსრების ერთ-ერთი მიზანი არსებული ობლიგაციებით აღებული ვალდებულებების რეფინანსირება იქნება. აღნიშნული პროცესის უზრუნველსაყოფად, უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების განთავსების აგენტთან.

2026 წლის 1 აპრილს განხორციელდა კაპიტალის ზრდა 782 ათასი დოლარის (2,113 ათასი ლარი) ოდენობით, ამ თანხით წინსწრებით დაიფარა TBC ბანკში არსებული სესხი სრულად 678 ათასი ევროს ოდენობით.

3. სტრატეგია და ამოცანები

შპს „ჭავჭავაძის 64ბ-ს“ დაფუძნების მიზანი იყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პრემიუმ კლასის ბიზნეს ცენტრის შექმნა, რომელიც აწევდა თამასას საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე. არსებული მოიჯარეების მაღალი რეპუტაციის გათვალისწინებით, კომპანია მიიჩნევს, რომ სწორედ მაღალი ხარისხი და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა გახდა იმის მიზეზი, რომ მათი მოიჯარეები ხანგრძლივი პერიოდით გახდნენ დიპლომატიური კორპუსები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

კომპანიის მიმდინარე მიზანია, შეუქმნას მომხმარებლებს უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემო, მაღალ ნიშნულზე შეინარჩუნოს არსებული დატვირთულობის კოეფიციენტი, გრძელვადიანი კონტრაქტების ხარჯზე.

4. ფინანსური ინფორმაცია

2025 წლის ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია Baker Tilly საქართველოს მიერ. აუდიტის მიერ განხილულ ძირითად საკითხებს წარმოადგენს ქვემოთ მოცემული ინფორმაცია, რომლიც სრულად მოცემულია დასკვნაში.

მომდევნო ინფორმაცია ეფუძნება აუდიტორულად შემოწმებულ რიცხვებს, დამატებითი დეტალებისთვის, მათ შორის ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისათვის იხილეთ კომპანიის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება.

4.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (აუდიტირებული):

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2025	31.12.2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	**5**	91,364	91,502
ძირითადი საშუალებები	**6**	155	166
აქტივის გამოყენების უფლება	**7**	256	308
სულ გრძელვადიანი აქტივები		**91,775**	**91,976**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	**8**	107	113
საიჯარო და სხვა მოთხოვნები	**9**	491	724
გაცემული მოკლევადიანი სესხები	**10**	1,987	463
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**11**	8,343	3,139
სულ მოკლევადიანი აქტივები		**10,928**	**4,439**
სულ აქტივები		**102,703**	**96,415**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	**2.16**	38,654	38,654
დაუფარავი ზარალი		(3,983)	(8,715)
სულ საკუთარი კაპიტალი		**34,671**	**29,939**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	**12**	24,968	59,906
საიჯარო ვალდებულებები	**7**	273	302
მოიჯარეებიდან მიღებული ავანსები		1,467	1,331
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**26,708**	**61,539**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**13**	3,686	3,624
სესხები	**12**	37,584	1,076
საიჯარო ვალდებულებები	**7**	54	46
ანარიცხები	**14**	-	191
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**41,324**	**4,937**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**102,703**	**96,415**

სრული შემოსავლის ანგარიშგება (აუდიტირებული):
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2025 დასრულებული წლისთვის	31.12.2024 დასრულებული წლისთვის
შემოსავლები			
საიჯარო შემოსავალი		12,184	9,792
სხვა შემოსავალი (ნეტო)	**15**	1,210	91
ხარჯები			
საგადასახადო ხარჯი		(612)	(600)
ხელფასის ხარჯი		(489)	(470)
რემონტისა და შენახვის ხარჯი		(183)	(102)
ცვეთა და ამორტიზაცია		(121)	(147)
კომუნალური ხარჯი		(59)	(119)
დაზღვევის ხარჯი		(38)	(48)
სხვა ხარჯები		(172)	(166)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება		(814)	3,708
წმინდა (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		(1,519)	(558)
სხვა მოგება (ნეტო)		183	138
საპროცენტო შემოსავლები	**16**	359	326
საპროცენტო ხარჯები	**17**	(5,197)	(5,851)
მიმდინარე წლის მოგება		**4,732**	**5,994**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		**4,732**	**5,994**

4.2 **საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (აუდიტირებული):**
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	განთავსებული კაპიტალი (იხილეთ ახსნა - განმარტებითი შენიშვნა 2.16)	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**30,973**	**(14,709)**	**16,264**
წლის სრული შემოსავალი	-	5,994	5,994
კონტრიბუცია საწესდებო კაპიტალში	8,621	-	8,621
კაპიტალის შემცირება	(940)	-	(940)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**38,654**	**(8,715)**	**29,939**
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**38,654**	**(8,715)**	**29,939**
წლის სრული შემოსავალი	-	4,732	4,732
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**38,654**	**(3,983)**	**34,671**

4.3 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (აუდიტირებული):

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31.12.2025 დასრულებული წლისთვის	31.12.2024 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მეიჯარეებისგან მიღებული ფულადი სახსრები	14,646	11,721
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები	(2,569)	(6,095)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები ნეტო	**12,077**	**5,626**
გადახდილი პროცენტი **(შენიშვნა 7 და 12)**	(5,006)	(8,944)
მიღებული პროცენტი **(შენიშვნა 10)**	379	384
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**7,450**	**(2,934)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული სესხები **(შენიშვნა 10)**	(20,669)	(5,123)
დაბრუნებული სესხები **(შენიშვნა 10)**	19,095	8,270
საინვესტიციო ქონების გაუმჯობესება **(შენიშვნა 5)**	(586)	(1,588)
ძირითადი საშუალებების შეძენა **(შენიშვნა 6)**	(62)	(8)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია **(შენიშვნა 6)**	2	363
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(2,220)**	**1,914**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხებიდან და ობლიგაციებიდან მიღებული ფული **(შენიშვნა 12)**	-	59,548
სესხების დაფარვა **(შენიშვნა 12)**	-	(63,029)
კაპიტალის ზრდა/(შემცირება) (ნეტო)	-	7,681
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი ფული **(შენიშვნა 7)**	(49)	(49)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(49)**	**4,151**
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	**5,181**	**3,131**
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში **(შენიშვნა 11)**	3,139	16
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებზე	23	(8)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**8,343**	**3,139**

5. კომპანიის კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბერს კომპანიის კაპიტალი კლასიფიცირებული იყო როგორც „საწესდებო კაპიტალი", რომელიც მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით წარმოადგენდა „განთავსებული კაპიტალის" იდენტურ ცნებას. შემდგომში, პროსპექტის (2024 წლის 01 აგვისტო) შედგენის თარიღისათვის კომპანიაში განხორციელებული კაპიტალ-შენატანები კვალიფიცირებულ იქნა დამატებით შენატანად, ხოლო 2024 წლის 25 დეკემბერს კომპანიამ პარტნიორთა გადაწყვეტილებით შეცვალა განხორციელებული კაპიტალ-შენატანების კვალიფიკაცია და დაადასტურა, რომ აღნიშნული სახსრები წარმოადგენდა განთავსებულ კაპიტალს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების განთავსებული კაპიტალი შეადგენს 38,653,921 ლარს. კომპანიის კაპიტალი დაყოფილია 100 წილად, 1 წილის ნომინალური ღირებულება განსაზღვრულია 386,539 ლარით, რაც დადასტურებულია შესაბამისი პარტნიორთა კრების ოქმებით. ამასთან, განთავსებული კაპიტალი 38,653,921 ლარი სრულად განაღდებულია ე.ი შევსებულია სრულად.

ამასთან, კომპანიას არ მიუღია გადაწყვეტილება განთავსებული კაპიტალის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე, რადგან კომპანიისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილობითი განმარტებით „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, მათ შორის მე-13 მუხლით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის განთავსებული კაპიტალი არ წარმოადგენდა სავალდებულო სარეგისტრაციო მონაცემს, განსხვავებით სააქციო საზოგადოებისგან.

განთავსებულ კაპიტალთან დაკავშირებით კომპანია მოქმედებს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლისა და 134-ე მუხლის შესაბამისად. ამავდროულად, კომპანიას შემუშავებული აქვს შიდა პოლიტიკა „შპს „ჭავჭავაძის 64ბ_ს მოგების განაწილების შესახებ", რომელიც ასევე მოიწონა კომპანიის პარტნიორმა. მითითებული შიდა პოლიტიკის შესაბამისად, დადგენილია, რომ მოგების განაწილება იკრძალება, თუ ა) კომპანიას წინა წლებში აკუმულირებული აქვს მნიშვნელოვანი ზარალი. ბ) განაწილება დააზიანებს კომპანიის გადახდისუნარიანობას გ) განაწილება დაარღვევს საქართველოს კანონმდებლობითა ან/და კომპანიის წესდებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს, რაც მათ შორის გულისხმობს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 145-ე მუხლის დანაწესს. 2024 წლის განმავლობაში კომპანიას მოგება არ გაუნაწილებია, არ გაუცია დივიდენდი.

6. ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებსა და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს, მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს, საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე, სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2025	31.12.2024
მოთხოვნები მეიჯარებიის მიმართ	386	467
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	8,343	3,139
გაცემული მოკლევადიანი სესხები	1,987	463
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	**10,716**	**4,069**

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით, რომლებიც, ზოგადად, კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსს მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიის შეფასებით, საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნულის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე იჯარიდან წარმოქმნილი დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი არ არსებობს და არ არის შექმნილი საეჭვო ვალების რეზერვი.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის

გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

19.3 სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ, მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დოლარი ლარში	ევრო ლარში	სულ
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები მეიჯარეების მიმართ	10	149	**159**
გაცემული მოკლევადიანი სესხები	270	-	**270**
ფული და ფულის ეკვივალენტი	3,496	2,746	**6,242**
სულ ფინანსური აქტივები	**3,776**	**2,895**	**6,671**
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	-	(327)	**(327)**
ობლიგაციები და სესხები	(27,804)	(34,821)	**(62,625)**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(27,804)**	**(35,148)**	**(62,952)**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**(24,028)**	**(32,253)**	**(56,281)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დოლარი ლარში	ევრო ლარში	სულ
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები მეიჯარეების მიმართ	149	133	**282**
გაცემული მოკლევადიანი სესხები	433	30	**463**
ფული და ფულის ეკვივალენტი	1	1,789	**1,790**
სულ ფინანსური აქტივები	**583**	**1,952**	**2,535**
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(2)	**(2)**
საიჯარო ვალდებულებები	-	(348)	**(348)**
ობლიგაციები და სესხები	(28,956)	(32,162)	**(61,118)**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(28,956)**	**(32,512)**	**(61,468)**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**(28,373)**	**(30,560)**	**(58,933)**

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31 დეკემბერი 2025 წ.		31 დეკემბერი 2024 წ.	
	ზეგავლენა, მოგება (ზარალზე)	ზეგავლენა, საკუთარ კაპიტალზე	ზეგავლენა, მოგება (ზარალზე)	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(4,806)	-	(5,675)	-
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	4,806	-	5,675	-
ევროს გამყარება 20%-ით	(6,451)	-	(6,112)	-
ევროს დასუსტება 20%-ით	6,451	-	6,112	-

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყეველს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. გარდა ქვემოთ მოცემული სესხისა, კომპანიის მიერ გაცემული და მიღებული სესხები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთიანია. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განკვეთი ჯობია კომპანიისთვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი.

ფიქსირებული განაკვეთებით აღებული და გაცემული სესხების პირობებში, კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს. ქვემოთ მოცემულია იმ ფინანსური აქტივებისა და ვალედებულებულების საბალანსო მონაცემები, რომლებიც ექვემდებარება ამ რისკს:

	31.12.2025	31.12.2024
მიღებული ობლიგაციები	37,554	37,900
გაცემული სესხები	1,987	463

ცვალებად განაკვეთიანი სესხი - 2025 წლის და 2024 წლის 31 დეკემბრისათვის ცვალებად განაკვეთიანი პროცენტის მქონე სესხების ნაშთები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 12-ში. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2025 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების შესაბამისად. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კურსის მიხედვით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	68	-	-	-	**68**
საიჯარო ვალდებულებები	83	107	107	160	**457**
ობლიგაციები და სესხები	42,063	8,770	8,248	14,482	**73,563**
სულ	**42,214**	**8,877**	**8,355**	**14,642**	**74,088**

კომპანია გეგმები ვალდებულებების დაფარვას საიჯარო შემოსავლებით, დამფუძნებლების მხრიდან კაპიტალში შენატანებით და მოზიდული სახსრების რეფინანსირების გზით. დეტალები მოცემულია ახსნა-განარტებით შენიშვნა 2.2.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	102	-	-	-	**102**
საიჯარო ვალდებულებები	76	126	98	197	**497**
ობლიგაციები და სესხები	6,194	45,617	8,160	17,557	**77,528**
სულ	**6,372**	**45,743**	**8,258**	**17,754**	**78,127**

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია, უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა აქციონერებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ, შესაძლოა, მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანია ექვემდებარება აღებულ სესხების ხელშეკრულებების მიხედვით კაპიტალისა და სხვა ფინანსური ელემენტების ზღვრული კოეფიციენტების სახით დაწესებულ გარე მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების დეტალების და მათი სტატუსი მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 12. კომპანიის წილები დაგირავებულია დედა კომპანიის სესხების უზრუნველყოფის მიზნით.

7. ბიზნესთან დაკავშირებული რისკები

კომპანიას საკუთრებაშია ერთადერთი აქტივი, შესაბამისად მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გარე ფაქტორებზე;

